

„გამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული  
ფედერაცია



„30“

„2018“

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის მეექვსე საკლუბო ჩემპიონატი  
2002-2004 წლებში დაბადებულ ძიუდოსტ ვაჟებს შორის

თელავი

2018

10 მარტი

## I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- ძიუდოს კლუბური სისტემის განვითარება საქართველოში;
- იმ კლუბების გამოვლენა, რომლებიც იასპარეზებენ საშემოდგომო ფინალურ ეტაპზე, როგორც „ოქროს ლიგაში“, ასევე „I ლიგაში“.

## II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი – საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

## III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2002-2004 წლებში დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები, რომელთა კლუბი ოფიციალურად იქნება დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში და გაივლიან რეგისტრაციას ძიუდოს ფედერაციაში. კლუბი, რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას საკლუბო ჩემპიონატში ვალდებულია წარმოადგინოს საჯარო რეესტრიდან კლუბის ამონაწერი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია 2018 წლის 1 მარტამდე, რაც შეეხება კლუბებს, რომლებიც მონაწილეობდნენ წინა ჩემპიონატებში, საკმარისია წარმოადგინონ მხოლოდ განცხადება საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის შესახებ.

## IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა აკრედიტაცია და განაცხადების მიღება იწარმოებს 2018 წლის 9 მარტის 12.00-საათამდე. კენჭისყრა ჩატარდება 9 მარტს ქ. თბილისში. აკრედიტაციის გავლა ასევე შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტში ელექტრონული ფოსტით.

შენიშვნა: აკრედიტაციის გავლის გარეშე კლუბები კენჭისყრაზე და შესაბამისად შეჯიბრზე არ დაიშვებიან !!!

- შეჯიბრი ჩატარდება 2018 წლის 10 მარტს ქ. თელავში, ჭიდაობის სპორტულ სკოლაში.
- ჩამოსვლის დღე ქ. თელავი 9 მარტი. წასვლა 11 მარტი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 12.00 საათი.

## V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრი ტარდება მხოლოდ გუნდურ პირველობაში;
- შეჯიბრი ტარდება ვაჟთა შორის 5 წონით კატეგორიაში: 55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ
- შეჯიბრში უნდა გამოვლინდეს 8 საუკეთესო გუნდი, რომელიც იასპარეზებს „ოქროს ლიგაში“. ნახევარფინალში გასული 4 გუნდი პირდაპირ მოიპოვებს „ოქროს ლიგის“ ლიცენზიას. კიდევ ოთხი გუნდი გამოვლინდება დამამშვიდებელ წრეში, სადაც იასპარეზებენ ნახევარფინალისტებთან წაგებული გუნდები.

აწონვა: ქ. თბილისი, ძიუდოს აკადემია

9 მარტი

55 კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ  
არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;  
ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

აწონვა: ქ. თელავი, ჭიდაობის სპორტული სკოლა

9 მარტი

55 კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ  
არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;  
ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

10 მარტი ქ. თელავი, ჭიდაობის სპორტული სკოლა

55 კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ  
არაოფიციალური 09.00 – 10.00 საათამდე;  
ოფიციალური 10.00 – 11.00 საათამდე;

- შეჯიბრზე კლუბები დაიშვებიან საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სპორტსმენთა პირადობის მოწმობის (ორიგინალი) წარმოდგენის შემდეგ.

VI. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (დამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები. კლუბების ტრანსპორტირებას ქ. თბილისიდან ქ. თელავში და პირიქით უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 51 64 66;

ელექტრონული მისამართი: judofedgeo@gmail.com

საკონტაქტო პირი – ზაქრო კველიშვილი 579 00 00 26

საკონტაქტო პირი – გიორგი ათაბეგაშვილი 595 21 25 23

**P.S.**

- შეჯიბრებაზე აუცილებელი პირობაა თითოეულ სპორტსმენს ჰქონდეს, როგორც ლურჯი, ასევე თეთრი ფერის კიმანო.
- სპორტსმენთა მაქსიმალური რაოდენობა კლუბისთვის განისაზღვროს 10-ით, თითოეულ წონით კატეგორიაში 2 კვოტით.
- ის კლუბები, რომლებიც შეჯიბრზე გამოიყვანენ სხვა კლუბის სპორტსმენებს მოიხსნებიან, როგორც ამ შეჯიბრიდან, ასევე 3 წლის განმავლობაში მიეცემათ დისკვალიფიკაცია. კლუბს სპორტსმენის გამოყვანის უფლება აქვს იმ შემთხვევაში თუ ეს სპორტსმენი მინიმუმ უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში მაინც ვარჯიშობს ამ კლუბის რომელიმე მწვრთნელთან.
- დასაველეთ საქართველოს კლუბებისათვის საქართველოს ძიუდოს ფედერაცია უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას თბილისი-თელავი-თბილისი. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია კლუბებმა საორგანიზაციო კომიტეტს უნდა მიაწოდონ 2018 წლის 1 მარტამდე.

გენერალური მდივანი



გიორგი ათაბეგაშვილი